საჩხერის მუნიციპალიტეტი

ა.ი.პ „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“

კვების პროდუქტების- რაფინირებული ზეთის შესყიდვა

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

(CPV კოდით 15421000)

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის, „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე

2015 წელი

1. საკვალიფიკაციო მონაცემები
1.1 საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ მოითხოვება
2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 **საქონლის მიწოდების პირობები და ვადები:**
2.1.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს ა.ი.პ „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღისათვის“ რაფინირებული ზეთის მიწოდება დანართი #4-ში მითითებულ მისამართებზე.
2.1.2 კვების პროდუქტების მახასიათებელი მოცემულია დანართი #1-ში
2.1.3 მიწოდების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ჩათვლით.
2.1.4 საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მიწოდების ადგილია - ა.ი.პ „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებები.

2.2 პრეტენდენტის მიერ სისტემაში ტექნიკური დოკუმენტაციის სახით ატვირთული უნდა იყოს:
ა) პრეტენდენტის შეთავაზება დანართი #2 მიხედვით.
ბ) ფასების ცხრილი დანართი #3 მიხედვით
გ) სასურსათო სავაჭრო ობიექტის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2.3 სატენდერო წინადადების ფასი:
2.3.1 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
2.3.2 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

2.4 ანგარიშსწორების პირობები:
2.4.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
2.4.2 ანგარიშსწორება მოხდება საქონლის მიწოდების თაობაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, სასაქონლი ზედნადების და ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში) არაუგიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.
2.5 აუცილებელი მოთხოვნები:
2.5.1 საკვები პროდუქტები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16.09 #301/ნ ბრძანების „სასუსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესები და ნორმების“ მოთხოვნებს.
2.5.2 საკვები პროდუქციის შენახვისას და ტრანსპორტირებისას დაცული უნდა იქნას სანიტარული წესებისა და ნორმების მოთხოვნები.
2.5.3 მისაწოდებელი პროდუქტების ვადა არანაკლებ 3(სამი) თვით უნდა აღემატებოდეს მოწოდების თარიღს.

2.6 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შერჩევა/ შეფასების ეტაპზე შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელმა სატენდერო კომისიას მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა უნდა წარუდგინოს „საქონლის“ ნიმუში: მისამართზე საჩხერე, თავისუფლების ქ#4. ა.ი.პ „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“ ადმინისტრაცია.

2.7 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20 %-ზე მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა შესაძლებელია დასაბუთდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით ან ანგარიშფაქტურით (ინვოისით), რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.
(დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნას მოთხოვნიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში).

2.9 დამატებითი ინფორმაცია:
სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტების ან დაზუსტების მიღება პრეტენდენტს შეუძლია, მიმართვის შემთხვევაში, შემდეგ მისამართზე საჩხერე, თავისუფლების ქ#4 ა.ი.პ “საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ ადმინისტრაცია.
ტენდერისთვის ,,გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებიდან ამავე პუნქტის „მ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებამდე არაუგვიანეს 24 საათისა, ნებისმიერ მიმწოდებელს უფლება აქვს სისტემის მოდულის –,,კითხვა/პასუხის“ მეშვეობით მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტება. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ტენდერისათვის ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის,,მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებამდე გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2 საათისა შესაბამის ტენდერში წინადადებების მიღების დასრულებამდე, სისტემის მოდულის –,,კითხვა/პასუხის“ მეშვეობით გააკეთოს შესაბამისი დაზუსტება/განმარტება, რითაც შესაძლებელია იხელმძღვანელოს ნებისმიერმა დაინტერებულმა პირმა.
საკონტაქტო პირი: **ხათუნა თოდაძე ტელ: 599 787 781, 0 435 22 14 33**

დანართი 1

1. **შესყიდვის ობიექტის რაოდენობა, ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლები**

CPV-კოდი	პროდუქტის დასახელება	განზომილების ერთეული	სავარაუდო ზღვრული რაოდენობა	ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლები
15421000	რაფინირებული ზეთი	კგ	1771.2	უმაღლესი ხარისხის, რაფინირებული (მზესუმზირის), მოყვითალო ფერის, დაფასოებული უნდა იყოს 1 - 5 ლიტრიან პოლიეთილენის ქილაში, შესაბამისი მარკირებით, მინიშნებული უნდა იყოს დამზადებისა და ვარგისიანობის ვადა. არ უნდა შეიცავდეს ორგანიზმისათვის საშიშ ნივთიერებებს.

<u>შენიშვნა: შესყიდვის მოცემული რაოდენობა არის ზღვრული, რომელიც შეიძლება შემცირდეს ფაქტიურად ა.ი.პ „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში ბავშვთა გამოცხადების საფუძველზე</u>

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #
(პ რ ო ე ქ ტ ი)

ქ. საჩხერე „----„ „--------„ 2016 წელი

ერთის მხრივ, ა.ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“ (შემდგომში შემსყიდველი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის ---------- სახით და მეორეს მხრივ, ---------- მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ---------- (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ა.ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ სახსრებით, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან **რაფინირებული ზეთი** - CPV კოდი 15421000 (შემდგომში „საქონელი“) შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის N ---------- საშუალებით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. “საქონელი“

2.1 „საქონლის“ მახასიათებლები მოცემულია ხელშეკრულების დანართში #1, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 „საქონლის“ ღირებულება (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის, ტრანსპორტირების და სხვა ხარჯების გათვალისწინებით) შეადგენს ---------- ლარს, ერთეულის ფასი მოცემულია ხელშეკრულების დანართში # 1.

4. „საქონლის“ ხარისხი და გარანტია

4.1 „საქონლის“ ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5. „საქონლის“ მიწოდების ვადა, ადგილი და მიწოდების პირობები

5.1 “საქონლის“ მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2 „საქონლის“ მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ერთხელ სამუშაო დღეების სამუშაო საათებში; მისაწოდებელი საქონლის დასახელება, რაოდენობა და მიწოდების თარიღი განისაზღვრება შემსყიდველისაგან წინასწარ მიღებული შეკვეთის საფუძველზე (შეკვეთა განხორციელდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით) მიწოდების ადგილია ა.ი.პ „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებები (იხ.დანართი #3);

5.3 „საქონლის“ მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი);

6. „საქონლის“ მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „საქონელი“ ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 „საქონლის“ მიღებას ახორციელებს შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც „საქონლის“ მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.

6.3 მიღება-ჩაბარება მოხდება ა.ი.პ „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებებში ადგილზე (დანართი #3).

7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.

7.2 ანგარიშსწორებას შემსყიდველი განახორციელებს ფაქტობრივად მიღებული „საქონლის“ რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი სასაქონლო ზედნადებისა (ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი) და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველი ვალდებულია:

8.1.1 უზრუნველყოს მისთვის გადაცემული „საქონლის“ შესაბამისი ანაზღაურების გადახდა მიმწოდებლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით;

8.1.2 „საქონლის“ მიწოდებისთანავე, გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი.

8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:

8.2.1 მიმწოდებლისაგან მოითხოვოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო „საქონლის“ ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ვადაში მიღება;

8.2.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება, ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურების დაცვით;

8.2.3 თვით ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით განახორციელოს მიმწოდებლის მიერ გადაცემული „საქონლის“ ხარისხის შემოწმება;

8.2.4 მიმწოდებლისაგან მოითხოვოს „საქონლის“ გადაცემის შესახებ დადგენილი ფორმით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

8.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.3.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობით, ღირებულებითა და მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო „საქონელი“.

8.3.2 დაუყონებლივ აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/ და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;

8.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

8.4.1 შემსყიდველისაგან მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. შეტყობინება

12.1 ნებისმიერი შეტყობინება, მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გაეგზავნება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შესრულების საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების

ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2 იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანმხდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, მათ შორის „ტექნიკური დავალებით" გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში, დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

14.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

14.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

15. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

15.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

16. ფორს-მაჟორი

16.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

16.2 თუ სახელშეკრულებლო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

16.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

17.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

18. დასკვნითი დებულებანი

18.1 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

18.2 ხელშეკრულების დამდებ მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულებული, მისი შესრულებისას აღმოჩენილი დარღვევების შესახებ და ა.შ, თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

18.3 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.

18.4 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელისმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

18.5 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლიარად, ერთი (ერთი)ეგზემპლიარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს.

19. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ა.ი.პ „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“	---
საიდენტიფიკაციო კოდი: 239396346	---
მის: ქ. საჩხერე, თავისუფლების ქ#4	---
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს „ლიბერთი ბანკის“	---
საჩხერის ფილიალი LBRTGE22	---
ანგარიშის ნომერი: GE02LB0115124621690000	---
ტელეფონი: 995 99 11 57 51	---

ა.ი.პ „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ ხელმოწერა: ----------

დირექტორი: ----------

დანართი#2

პრეტენდენტის შეთავაზება

1	.პრეტენდენტის იურუდიული ფორმა და დასახელება:	
	ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი და გვარი:	
	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
	საიდენტიფიკაციო კოდი:	
	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
	ელექტრონული მისამართი	
	ბანკი:	
	ბანკის კოდი:	
	ანგარიშის ნომერი:	

პრეტენდენტის ხელმოწედა და ბეჭედი (ბეჭედის არსებობის შემთხვევაში) ----------

დანართი #3

ფასების ცხრილი

(პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ფასების ცხრილი შემდეგი ფორმის მიხედვით)

„საქონლის“ დასახელება	„საქონლის“ მახასიათებლები; ტექნიკური და ხარისხობრივი აღწერა	წარმოშობის ქვეყანა/ მწარმოებელი კომპანია	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9

2.შენიშვნა: გამარჯვებულ პრეტენდენტს ვაჭრობის დამატებითი რაუნდების შემდგომ ფასის ცვლილების შემთხვევაში დამატებით მოეთხოვება მის მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასის შესაბამისი განფასება, ზემოთ ნაჩვენები ფორმის შესაბამისად.

(პრეტენდენტის დასახელება) (სახელი, გვარი, თანამდებობა)

(თარიღი ბ.ა) (ხელისმოწერა)

დანართი #4

ა.ი.პ „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ განყოფილებების მისამართები

#	დასახელება	მისამართი
1	საჩხერის #1 განყოფილება	ქ. საჩხერე, გორგასლის ქ. #6
2	საჩხერის #2 განყოფილება	ქ. საჩხერე, დურმიშიძის ქ. #54
3	საჩხერის #3 განყოფილება	ქ. საჩხერე, რაჭის ქ#69
4	აკ. წერეთლის განყოფილება	ქ. საჩხერე, თამარ მეფის ქ#1
5	სოფ. სხვიტორის განყოფილება	სოფელი სხვიტორი, ქალაქის ცენტრიდან 3 კილომეტრში
6	სოფ. სარეკის განყოფილება	სოფელი სარეკი, ქალაქის ცენტრიდან 3 კილომეტრში
7	სოფ. საირხის განყოფილება	სოფელი საირხე, ქალაქის ცენტრიდან 3 კილომეტრში
8	სოფ. სავანის განყოფილება	სოფელი სავანე, ქალაქის ცენტრიდან 6 კილომეტრში
9	სოფ. მერჯევის განყოფილება	სოფელი მერჯევი, ქალაქის ცენტრიდან 5 კილომეტრში
10	სოფ. ჩიხის განყოფილება	სოფელი ჩიხა, ქალაქის ცენტრიდან 5 კილომეტრში
11	სოფ. არგვეთის განყოფილება	სოფელი არგვეთი, ქალაქის ცენტრიდან 10 კილომეტრში
12	სოფ. ჭალის განყოფილება	სოფელი ჭალა, ქალაქის ცენტრიდან 11 კილომეტრში
13	სოფ. ორღულის განყოფილება	სოფელი ორღული, ქალაქის ცენტრიდან 8 კილომეტრში
14	სოფ. პერევის განყოფილება	სოფელი პერევი, ქალაქის ცენტრიდან 23 კილომეტრში, მაღალმთიანი.
15	სოფ. გორისის განყოფილება	სოფელი გორისა, ქალაქის ცენტრიდან 10 კილომეტრში
16	სოფ. ჭალოვანის განყოფილება	სოფელი ჭალოვანი, ქალაქის ცენტრიდან 30 კილომეტრში, მაღალმთიანი.
17	სოფ. ჭორვილის განყოფილება	სოფელი ჭორვილა, ქალაქის ცენტრიდან 5 კილომეტრში
18	სოფ. ჯალაურთის განყოფილება	სოფელი ჯალაურთა, ქალაქის ცენტრიდან 10 კილომეტრში, მაღალმთიანი.
19	სოფ. კორბოულის განყოფილება	სოფელი კორბოული, ქალაქის ცენტრიდან 17 კილომეტრში, მაღალმთიანი.
20	სოფ. ქორეთის განყოფილება	სოფელი ქორეთი, ქალაქის ცენტრიდან 6 კილომეტრში